შემოსავლების სამსახური



# დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსების გზამკვლევი

ურთიერთობა მარტივია

# 2021 წლის 1 თებერვლიდან დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსება სავალდებულოა

## ვის ევალება დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსება?

- დამქირავებელი ვალდებულია დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახოს დაქირავებულ პირთა რეესტრში.

## რა ურთიერთობა განიხილება დაქირავებით მუშაობად?

- მოვალეობის შესრულება, რომელიც რეგულირდება შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, ასევე პირის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან მოვალეობის შესრულება და ა.შ.

## რა ინფორმაცია აისახება დაქირავებულ პირთა რეესტრში?

- დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი, სამუშაო განაკვეთი, სტატუსი.

## რა ფორმით ხდება რეესტრის წარმოება?

- ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის www.rs.ge დამქირავებლის პირადი ავტორიზებული გვერდიდან.

# რა ვადაში უნდა შეავსოს დამქირავებელმა პირმა დაქირავებულ პირთა რეესტრი?

- შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე.

# რა ვადაა განსაზღვრული დაქირავებულ პირთა რეესტრში ასახული მონაცემების ცვლილებისთვის?

- დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს დაქირავებულ პირთა რეესტრში.

## გაითვალისწინეთ!

დამქირავებელი პირის მიერ დაქირავებულ ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაციის არასწორად განსაზღვრა, იწვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას.

დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსების წესის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლს და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანების „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" $11^2$-ე მუხლს.



შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრი მუშაობს

**ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით**

**09:00 საათიდან 18:00 საათამდე**

# 2 299 299

2 299 299
info@rs.ge
www.rs.ge